პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 150 (4660)

1972 წ. 2 აგვისტო, ოთხშაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## სსრ კავშირის გერბი კომუნიზმის პიკზე

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ალპინიადის მონაწილეებმა მიზანს მიაღწიეს — კომუნიზმის პიკზე ავიდნენ. 7495 მეტრ სიმაღლეზე დაამაგრეს საბჭოთა კავშირის გერბი და მოკავშირე რესპუბლიკების ალმები.

მწვერვალზე ერთ-ერთი პირველნი ავიდნენ ჩეხოსლოვაკიის მთამსვლელები. „ჩვენი მეგობრობა საბჭოთა ქვეყნის სპორტსმენებთან კიდევ უფრო განმტკიცდა, — თქვა ჩეხოსლოვაკიის გუნდის ხელმძღვანელმა ტ. შურკამ. — ასეთი წუთები კაცს არასოდეს ავიწყდება!"

კომუნიზმის პიკის დაპყრობის დღე მზიანი გამოდგა. მშვენიერ გუნებაზე იყვნენ ალპინიადის მონაწილენიც — ყველა მოკავშირე რესპუბლიკისა და რვა სოციალისტური ქვეყნის მთამსვლელები.

## ახალი საჭადრაკო კლუბი წალენჯიხაში



წალენჯიხის ჭადრაკის მოყვარულებს ამას წინათ დიდი ზეიმი ჰქონდათ: გაიხსნა ახალი საჭადრაკო კლუბი. გახსნის ცერემონიალს დაესწრო მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი. მასპინძლებმა ლენტის გაჭრა მას სთხოვეს.

კლუბის ნათელი დარბაზი მორთულია გამოჩენილი მოჭადრაკეების პორტრეტებით, საჭადრაკო ცხოვრების ამსახველი ფოტოსურათებით. კლუბი საკმაო ფართობისაა. აქ ერთდროულად 40 მოჭადრაკეს შეუძლია თამაში.

ო. სალია.

• • •

სურათზე: მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი წალენჯიხის საჭადრაკო კლუბის გახსნაზე.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

### ვოლგოგრადიდან წყნარ ოკეანემდე

ურალსკის ნავმისადგომიდან ოთხნიჩბიანი ნავი დაიძრა. აქტიუბინსკის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ვ. პოპოვმა და ტყის მჭრელმა, შორეული აღმოსავლეთის მკვიდრმა ე. სმურგისმა შორი და ძნელი გზა აირჩიეს — გადაწყვიტეს შვებულების დღეებში მდინარეებზე იარონ ვოლგოგრადიდან ვლადივოსტოკამდე. უკან დარჩა ვოლგა და კასპიის ზღვა. ახლა ტურისტები ურალს მიჰყვებიან. ორენბურგს ზევით ისინი ნავს მდინარე ტობოლზე გადაიტანენ. მარშრუტი ენისეის შესართავში მთავრდება.

დანარჩენი ეტაპები შემდგომ წლებში მოეწყობა. ეს უკვე მეორე მოგზაურობაა ტყის მჭრელის და მასწავლებლისა. პირველ სამწლიან მარათონს ქვეყნის ევროპული ნაწილის მდინარეებზე საერთო ჯამში 190 დღე-ღამე დასჭირდა.

## რეპეტიციამ წარმატებით ჩაიარა

კოპენჰაგენი, 31 ივლისი. კოპენჰაგენის რეგატა ნიჩბოსნობის საბჭოთა ოსტატების დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა. ეს შეჯიბრება ოლიმპიური სტარტების წინ სპორტის ამ სახეობის წარმომადგენელთა გენერალური რეპეტიცია იყო.

საბჭოთა სპორტსმენებმა ექვსი I, ორი II და ერთი III ადგილი დაიკავეს.

გამარჯვებულთა შორის არიან: ა. შაპორენკო (ერთადგილიანი ბაიდარა, 1000 მ, 3.52,6), ი. რიაბჩინსკაია (ერთადგილიანი ბაიდარა, 500 მ, 2.02,4), ნ. გორბაჩოვი და ვ. კრატასიუკი (ორადგილიანი ბაიდარა, 1000 მ, 3.35,2), ვ. ჩესიუნასი და ი. ლობანოვი (ორადგილიანი კანოე, 1000 მ, 3.56,0), ლ. პინაევა და ე. კურიშკო (ორადგილიანი ბაიდარა, 500 მ, 1.52,7), ვ. დიდენკო, ი. სტეცენკო, ვ. მოროზოვი და ი. ფილატოვი (ოთხადგილიანი ბაიდარა, 1000 მ, 3.15,4).

ფინალურ სერიებში ფინიშთან მეორენი იყვნენ პინაევა (ბაიდარა, 2.02,9) და ვ. იურჩენკო (კანოე, 4.21,0).

III ადგილი დაიკავა მებაიდარე ნ. გოპოვამ — 2.05,5.

— ნეტამც ასე გამოვიდოდეთ XX ოლიმპიურ თამაშებში, — რეგატის თასის მიღებისას თქვა შაპორენკომ.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

### მაღლივი, ზონები

გუშინწინ მოსკოვში შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი: ცსკა — „ზენიტი".

დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა ცსკა-მ — 2:1.

პირველი ბურთი ლენინგრადელთა კარში 23-ე წუთზე გაიტანა ტელინგერმა, მეორე კი 87-ე წუთზე — დუდარენკომ.

არმიელები მეტწილად უტევდნენ, სტუმრები კი უფრო საკუთარი კარის უსაფრთხოებისთვის ზრუნავდნენ და მხოლოდ ეპიზოდურად ახორციელებდნენ კონტრიერიშებს. ერთადერთი საპასუხო ბურთი მათ 88-ე წუთზე 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაიტანეს (სადირინი).

### უმაღლესი ლიგა

### II ლიგა III ზონა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კუბანი" (კრასნოდარი) | 19 | 11 | 5 | 3 | 31—9 | 27 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 18 | 9 | 7 | 2 | 31—14 | 25 |
| „დინამო" (ბათუმი) | 19 | 10 | 5 | 4 | 35—22 | 25 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 19 | 9 | 6 | 4 | 27—17 | 24 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 19 | 8 | 7 | 4 | 25—15 | 23 |
| „მაშინოსტროიტელი" (პოდოლ.) | 19 | 9 | 4 | 6 | 20—18 | 22 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 19 | 10 | 2 | 7 | 24—23 | 22 |
| „დილა" (გორი) | 19 | 7 | 7 | 5 | 21—16 | 21 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 19 | 6 | 8 | 5 | 17—20 | 20 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 19 | 7 | 5 | 7 | 24—24 | 19 |
| „ზვეზდა" (ტირასპოლი) | 18 | 7 | 4 | 7 | 15—15 | 18 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 18 | 7 | 4 | 7 | 23—25 | 18 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 19 | 7 | 3 | 9 | 22—27 | 17 |
| „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) | 19 | 5 | 6 | 8 | 18—24 | 16 |
| „დინამო" (სოხუმი) | 18 | 4 | 7 | 7 | 20—28 | 15 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 19 | 3 | 7 | 9 | 12—25 | 13 |
| „სპარტაკი" (ორიოლი) | 19 | 2 | 7 | 10 | 15—25 | 11 |
| „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) | 18 | 3 | 5 | 10 | 13—24 | 11 |
| „შრომითი რეზერვები" (კურსკი) | 19 | 3 | 3 | 13 | 13—35 | 9 |

## რუმინეთის სტუდენტთა ნაკრები — ევროპის ჩემპიონი

კონსტანცა, 31 ივლისი. რუმინეთის ფეხბურთელებმა სტუდენტთა ევროპული ჩემპიონატის აქ გამართულ ფინალურ მატჩში ანგარიშით 1:0 სძლიეს იუგოსლავიის ნაკრებს და ოქროს მედლები მოიპოვეს.

ბრინჯაო ხვდათ ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებს, რომლებმაც III ადგილისთვის ბრძოლაში დამატებით დროში გასტეხეს ესპანელთა წინააღმდეგობა — 1:0.

საბჭოთა ფეხბურთელებმა, როგორც ცნობილია, მეოთხედფინალურ შეხვედრაში მარცხის სიმწარე იწვნიეს რუმინელთაგან — 0:2.

## [illegible] მოგვითხრობს

### 19 4/5

◆ ვარშავა, 1 აგვისტო. პოლონელმა სპრინტერებმა ვაგნერმა, ცუხმა, ჩერნიაკმა და ნოვოშმა 4×100 მეტრზე ესტაფეტა პოლონეთის რეკორდითა და წლეულს მსოფლიოში საუკეთესო დროით დაამთავრეს — 38,9. დანუტა პეციკმა პოლონეთის რეკორდი დაამყარა 400 მეტრზე რბენაში — 52,8 (ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი წლეულს მსოფლიოში).

◆ კარლსტადი (შვეცია), 1 აგვისტო. ბადროს ტყორცნაში მსოფლიო რეკორდის ორივე მფლობელი — ამერიკელი ჯ. სილვესტრი და შვედი რ. ბრუხი აქ ევროპის ჩემპიონმა ლ. დანეკმა (ჩეხოსლოვაკია) დაამარცხა. აი, შედეგებიც: დანეკი — 65,42, ბრუხი — 65,14, სილვესტრი — 62,62. ევროპელ სპორტსმენთან მეორე ოკეანისგაღმელი სტუმრის დუელი ამერიკელის გამარჯვებით დამთავრდა: ჭოკით ხტომაში მსოფლიო რეკორდსმენმა, მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონმა ბ. სიგრენმა 530 სმ გადალახა და მსოფლიოს ექს-რეკორდსმენ ჩ. იზაქსონს (შვეცია) აჯობა. იზაქსონის შედეგიც 530 სანტიმეტრია, მაგრამ მან ამ სიმაღლის დაძლევას მეტი ცდა მოახმარა. ქალთა შეჯიბრებაში ორი გამარჯვება იზეიმა ავსტრალიელმა ჰ. კილბორნმა (100 მეტრზე თარჯრბენი — 13,3 და 200 მეტრზე რბენა — 24,5).

### [illegible]

### ◆ თბილისი

დამთავრდა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლის ჰ. კობახიძის სახელობის საჭადრაკო კლუბის პირველობა. ტურნირში 12 კაცი მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა მსახიობმა ს. რუსიამ — 10 ქულა. II ადგილზეა არქიტექტორი რ. შირიაევი — 8,5, III — კონსერვატორიის სტუდენტი ა. ნახაპეტიანი — 8.

• • •

მოჭადრაკეთა წრის საზაფხულო არდადეგების წინ კლუბში ორ წრედ მოეწყო 8-კაციანი ტურნირი ელვისებურ თამაშში. ყველას აჯობა საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის ფონოგრამების განყოფილების გამგემ ა. ურუშაძემ — 13 ქულა 14-დან. II ადგილი ხვდა მხატვრული თვითმოქმედების სასწავლებლის სტუდენტს ა. პოლიაკოვს — 12, III კი ს. რუსიას — 11.

ი. თოდრია.

## სპორტული თელავი

ერთ თვეს გრძელდებოდა „კოლმეურნის" რაისაბჭოს გარდამავალი თასის გათამაშება ფეხბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ოცი გუნდი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ წინანდლის საბჭოთა მეურნეობისა და რუისპირის კოლმეურნეობის კოლექტივები. გაიმარჯვეს წინანდლის წარმომადგენლებმა — 4:1.

• • •

რაიონულ სპარტაკიადაში 200-მდე ქალი მონაწილეობდა. პროგრამაში შედიოდა 8 სახეობა. საერთო I ადგილი ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტსმენებმა მოიპოვეს. II ადგილზეა განათლების განყოფილების გუნდი, III — „სპარტაკი".

• • •

„სპარტაკის" რაიონულ სპარტაკიადაში საერთო I ადგილი და გარდამავალი თასი მოიპოვა საწარმოო კომბინატის (დირექტორი ჯ. გიორგელაშვილი) ნაკრებმა.

• • •

ჩატარდა „სპარტაკის" ქალთა რაიონული სპარტაკიადა. საერთო I ადგილი და გარდამავალი თასი მოიპოვეს სამედიცინო სასწავლებლის (დირექტორი ი. რამაზაშვილი, ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. სტეფანოვი) წარმომადგენლებმა. II ადგილი მედმუშაკთა პროფკავშირის წარმომადგენლებმა დაისაკუთრეს. III ადგილზეა კომუნალური მეურნეობის კომბინატის გუნდი. 30-ზე მეტმა სპორტსმენმა სათანრიგო ნორმატივები შეასრულა.

ს. ოხანაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# გულისყურით მოეკიდნენ

შემთხვევით როდი ამბობენ, „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი ფიზკულტურული კომპლექსი ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკების თვისებების გამოცდაა.

ქ. ბაზაძე ზესტაფონის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ 10 წელია მუშაობს. მაგრამ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, დამსახურება შეღავათს არ იძლევა. კომპლექსი თითოეულისგან ღრმა შესწავლას და ანალიზს მოითხოვს. კოლექტიური მსჯელობა, გამოცდილების გაზიარება, სემინარები და ერთობლივი ძალით ღონისძიებების ჩატარება, რაც აქ შემოუღიათ, პრაქტიკაში კარგ შედეგს იძლევა. კომპლექსის პროპაგანდასა და მასობრივად დანერგვაში დიდი წვლილი შეაქვს ვეტერანთა საბჭოს, რომელსაც სათავეში ამაგდარი ფიზკულტურული მუშაკი ა. განუგრავა უდგას.

საბჭოს ყველაზე „ახალგაზრდა" წევრმა ა. კვესიტაძემ 1939 წელს ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა ივალდებულა იმხანად შემოღებული ახალი კომპლექსის „ფრიადზე" ჩაბარება. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტს სიტყვა არ გაუტეხია. „ახალგაზრდა კომუნისტმა" საქართველოს პირველ ათ ნიშნოსანს შორის მისი ფოტოსურათიც გამოაქვეყნა.

მასებში ახალი კომპლექსის დანერგვა დღეს რაიონის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ზრუნვის საგნადაა გადაქცეული. ჩვენს რესპუბლიკაში სტამბური წესით პირველად ზესტაფონში დაამზადეს კომპლექსის შინაარსის ამსახველი პლაკატები: კეთილმოეწყო ბაზები, მოეწყო და ეწყობა ახალი მოედნები, მძლეოსნური ბილიკები და სექტორები. მოაწესრიგეს საცურაო აუზის გათბობის საკითხი.

— გულმოდგინე მზადების შემდეგ ხვალიდან ნორმატივების მასობრივად ჩაბარება იწყება, — გვითხრა პარტიის რაიონული კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგემ პ. შალამბერიძემ, ჩვენი სტუმრობის მიზანი რომ შეიტყო.

ამ ზეიმის დასაწყისს რკინიგზის მე-7 საშუალო სკოლის ეზოში შევუერთდით. სპორტული დროშებითა და ლოზუნგებით ხელდამშვენებულმა მოსწავლეებმა ცენტრალური ქუჩა ორკესტრის თანხლებით გაიარეს. ბევრ მათგანს ორი-სამი ნორმატივი სკოლის ბაზებზე ჩაებარებინა. ახლა ფეროშენადნობთა ქარხნის სტადიონს მიაშურეს რბენასა და ტყორცნაში ძალის გამოსაცდელად. მოზეიმე კოლონის მწყობრში თამამად მიაბიჯებდა III კლასის მოსწავლე დავით მესხიშვილი — სკოლაში ახალი კომპლექსის წყალობით აღმოჩენილი პირველი ტალანტი. დათოს მეშვიდეკლასელთა ნორმატივი ჩაუბარებია სიგრძეზე ხტომაში.

მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დიდი ქომაგი, მე-4 საშუალო სკოლის დირექტორი ზ. გველესიანი სტადიონზე შემოგვეგება. მეთხესკოლელები დიდ ზეიმში მორიგი კლასგარეშე ღონისძიებიდან ჩაერთნენ. ქალაქის სკოლების ნაკრები გუნდები რომ ასპარეზობდნენ, უსაქმოდ არც უფროსები იყვნენ. ერთნი თუ ნორმატივებს იბარებდნენ, მეორენი თავად გადიოდნენ გამოცდაზე. სატყორცნ სექტორში ყველაზე უწინ ქ. ბაზაძემ შედგა ფეხი. ხელმოცარული სარბიელიდან არც ზ. გველესიანი, კლდეეთის რვაწლიანი სკოლის დირექტორი გ. პერანიძე, დოსააფის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ო. ქელეხსაშვილი, სტადიონის დირექტორი ს. შეყრილაძე, რაიონის ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი ო. სამყურაშვილი გამოსულან.

მერე სარბიელი ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივს დაეთმო. გამოცდები ქარხნის სამმართველოს მუშაკებით დაიწყო. ჭაბუკური ენერგიით ჩაერთნენ ასპარეზობაში დირექტორის მოადგილე მ. თუთბერიძე, პარტიული კომიტეტის მდივანი ო. ბუხნიკაშვილი, კადრების განყოფილების უფროსის მოადგილე დ. შავიძე, ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილე ბ. ჩხეიძე და სხვ. სტარტზე სულ 150-მდე კაცი და ქალი გამოვიდა. ბევრი მათგანი შეუფასებელი დარჩა, მაგრამ მათ სტადიონი ხალისიანი განწყობილებითა და მომავალ ღონისძიებაში წარმატების იმედით დატოვეს.

წერილი დასაბეჭდად გამზადებული გვქონდა, როცა რაიონიდან ახალი ცნობა მივიღეთ: „ნორმატივების მასობრივი ჩაბარება სოფლის ფიზკულტურულ კოლექტივებშიც წარმატებით დაიწყო. სტარტზე 900-მდე მშრომელი გამოსულა. განსაკუთრებით საზანოს და მეორე სვირის კოლმეურნეობებში, არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში აქტიურობდნენ. ჩავატარეთ რაიონული ღონისძიება კომპლექსურ მრავალჭიდში ახალი კომპლექსის პროგრამით", — გვატყობინებს „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ნ. კაკაურიძე.

მეორე ბარათს ხელს აწერს „განთიადის" რაისაბჭოს თავმჯდომარე დ. ლავთაძე. ფეროშენადნობთა ქარხნის 200-მდე თანამშრომელს სამი-ოთხი ნორმატივი ჩაუბარებია. შეურჩევიათ საზოგადოებრივი ინსტრუქტორები და ცურვის მასობრივი შესწავლა დაწყებულა. „სპარტაკის" რაისაბჭოს თავმჯდომარის ს. ცხადაძის ცნობით, საზოგადოების 280-მდე წევრი გაერთიანებულა III, IV და V საფეხურებისთვის მოსამზადებელ ჯგუფებში.

ზესტაფონში ჩვენი ყოფნიდან თვეზე მეტი გავიდა. არ ვჩქარობდით წერილის გამოქვეყნებას. ვფიქრობდით, კარგ წამოწყებას ჩამორჩენილნი მხარს აუბამდნენ. მაგრამ მათ არც ეს დრო გამოუყენებიათ. აი, ეს კოლექტივებიც: საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის სამმართველო (უფროსი გ. ბიბილაშვილი), მექანიკური ქარხანა (დირექტორი გ. რობაქიძე), „ცხოველდამზადება" (უფროსი მ. გაჩეჩილაძე), 25-ე საგზაო უბანი (უფროსი ნ. დეკანოსიძე), დოლიკაურის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე დ. დათიაშვილი).

საკითხავია, როდემდე გაგრძელდება პარტიისა და მთავრობის დადგენილებისადმი მათი უყურადღებობა?

**თ. გაჩეჩილაძე.**

(ჩვენი სპეც. კორ.).

ზესტაფონი.

• • •



სურათზე: მოზეიმე მოსწავლეთა კოლონა ქალაქის ქუჩაში.

ავტორის ფოტო.

# სპორტის ძალა!

გაზეთ „ლელოს" 14 მაისის ნომერში გამოქვეყნებული წერილი „ერთი სეზონის მოთამაშე" ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო და საგულისხმოა.

ექვსი წელია ვემსახურები მოზარდი თაობის აღზრდას თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის მე-11 მიკრორაიონში. მუშაობის გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ სპორტი დიდი ძალაა, მოზარდი თაობის ჭეშმარიტი პატრიოტული და მოქალაქეობრივი სულისკვეთებით აღზრდისთვის მას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ნამდვილი მწვრთნელები სხვადასხვა პედაგოგიური მეთოდითა და პირადი მაგალითით ახერხებენ ბავშვებზე კეთილმყოფელი გავლენის მოხდენას და საზოგადოებისთვის სასარგებლო წევრების აღზრდას. შემთხვევითმა მწვრთნელმა კი პირადი მაგალითით ვალერის (და ვინ იცის კიდევ რამდენს) დანაშაულისკენ უბიძგა, ბოროტების გზაზე დააყენა.

გვაფიქრებს ვალერის დედის შეკითხვა: როგორ მოხდა ეს, ვინ არის დამნაშავე?

დამნაშავეა ყველა — პირველ ყოვლისა, მშობლები, შემდეგ კი სკოლა, მწვრთნელი, ამხანაგები, საზოგადოება, რომლებიც არ შეეცადნენ სიფხიზლე გამოეჩინათ.

ერთი რამ ცხადია, ყოველ უმსგავსო საქციელს თავისი მიზეზი აქვს. და მომავალი თაობის აღზრდისთვის ყველა ჩვენგანი აგებს პასუხს.

ქალაქის მიკრორაიონებში სპორტულ მუშაობას პედაგოგი-ორგანიზატორები ხელმძღვანელობენ. თითოეულ მიკრორაიონში 1500, 2000-მდე ბავშვია მათთან მუშაობა ძალიან ძნელი იქნებოდა, სპორტი რომ არ გვეხმარებოდეს.

ყოველწლიური შეჯიბრებები ფეხბურთში „ტყავის ბურთის" პრიზზე ეზოებისა და ქუჩების გუნდებს შორის ძალიან ბევრ ბავშვს იზიდავს — ძნელად აღსაზრდელებს. უზედამხედველოებს, აკადემიურად წარჩინებულებს თუ ჩამორჩენილებს. თამაში ყველას სურს, მაგრამ ვინ ითამაშებს? ამ საკითხის გადაწყვეტა პედაგოგ-ორგანიზატორზეა დამოკიდებული. ძნელად აღსაზრდელები უნდა გამოსწორდნენ, უზედამხედველოებმა უნდა მიატოვონ ქუჩაში უქმად ხეტიალი, აკადემიურად წარჩინებულებმა გამოასწორონ ოროსანი ამხანაგები. ყოველივე ამას მთელი მონდომებით ასრულებენ ბავშვები.

შეგვიძლია დავასახელოთ უამრავი მაგალითი იმისა, რომ სპორტის მეშვეობით ძნელად აღსაზრდელი ბავშვები გამოვასწორეთ, ნებისყოფა განვუმტკიცეთ და სწორ გზაზე დავაყენეთ.

1969 წელს „ტყავის ბურთის" პრიზის კათამაშებისთვის ვავარჯიშებდით 1960 წელში დაბადებულებს, 134-ე საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელ მოსწავლეებს. ამავე კლასის დამრიგებელმა ჯიქიამ შემატყობინა, ბიჭებმა სწავლა მიატოვეს და მეტ დროს ფეხბურთის თამაშს ანდომებენო. იმავე დღეს კლასის დამრიგებელთან ერთად მოვიწვიეთ კრება, რომელსაც მშობლებიც დავასწარით. ათი ბიჭი დროებით გავრიცხეთ გუნდიდან. ორი კვირის განმავლობაში ნიშნები ყველამ გამოასწორა და ისევ დაიწყეს ვარჯიში.

„ტყავის ბურთის" პრიზზე შეჯიბრებაში ჩვენს მიკრორაიონს ასეთი მიღწევები აქვს: 1967 წელს ორჯონიკიძის რაიონში მეორენი ვიყავით, 1968 წელს კი რესპუბლიკაში II ადგილი დავიკავეთ. 1969 წელს საქართველოს ჩემპიონები გავხდით, 1970 წელს თბილისში II ადგილი გვხვდა. 1971 წელს ისევ ქალაქის გუნდებში II ადგილზე გავედით. სპარტაკიადაში „სინორჩე და ჯანმრთელობა" I ადგილი დავიკავეთ ორჯონიკიძის რაიონში, ლენინურ დათვალიერებაში ქალაქში III ადგილი გვხვდა და ა. შ.

ბავშვები დიდი სიყვარულით უფრთხილდებიან თავიანთ მონაპოვარს. ჩვენმა მიკრორაიონმა ბევრი ბავშვი აღუზარდა სპეციალურ სპორტსკოლებს.

ბავშვებთან მომუშავე ყველა ადამიანი შეუპოვრად უნდა იბრძოდეს თითოეული მათგანის სულიერი სამყაროს ამოსახსნელად. მთავარია ანგარიში გავუწიოთ ნორჩების ინტერესებს, მათს გატაცებას, მივცეთ მათ სწორი მიმართულება. ხდება ხოლმე, როცა ბავშვი გატაცებულია სპორტის ერთ-ერთი სახეობით, მაგრამ იძულებულია სხვა სახეობაში ივარჯიშოს, ვინაიდან სკოლაში სწორედ ეს სხვა სახეობაა გაბატონებული.

134-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ლერი ქემოკლიძე სამ წელიწადს ვარჯიშობდა მძლეოსნობაში; მაგრამ არ იტაცებდა ეს სახეობა და ხშირად გამოთქვამდა უკმაყოფილებას, რომ ფეხბურთი უყვარდა და უფლებას არ აძლევდნენ მძლეოსნობაში წვრთნისთვის თავი დაენებებინა. მაგრამ ბავშვის სურვილი იმდენად ძლიერი იყო, რომ პასუხისმგებლობა ჩემს თავზე ავიღე. რამდენიმეჯერ გავაცდენინე მძლეოსნობაში მეცადინეობა და მონაწილეობა მივაღებინე რაიონულ შეჯიბრებაში „ტყავის ბურთი-71".

თამაშს ესწრებოდა ჩვენი „დინამოს" ვეტერანი, ამჟამად მწვრთნელი თენგიზ მელაშვილი, რომელსაც ბავშვი მოეწონა და თავისთან წაიყვანა. წლეულს თ. მელაშვილის გუნდმა „ცისკარმა" სპორტის სასახლის პრიზზე შეჯიბრებაში ქალაქში I ადგილი დაიკავა. გუნდის მეკარე ლერი იყო.

დღეს ლერის კლასის დამრიგებელი ქ. ჭუმბურიძე გვეუბნება, რომ ბავშვი სულ გამოიცვალა, ასეთი ზრდილობიანი მეორე არ ჰყავს კლასში. ასევე გვპასუხებენ ლერის მშობლები, ამხანაგები.

ჩემი პრაქტიკული მუშაობიდან ბევრი ასეთი მაგალითის დასახელება შეიძლება. ყოველივე ეს ბავშვთან გვაახლოებს და გვაკავშირებს. ბავშვები არ ივიწყებენ სულ უმნიშვნელო დახმარებასაც კი, ცდილობენ ნდობა გაგიმართლონ და თავისებურად მადლობა გადაგიხადონ. ჩვენთვის კი მათი ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი დიდი გამარჯვებაცაა და მადლობაც.

აუცილებლად უნდა დამყარდეს საქმიანი კავშირი სკოლებს, მწვრთნელებს, მშობლებსა და, საერთოდ, იმ ადამიანებს შორის, რომლებიც მოზარდთა აღზრდას ემსახურებიან.

სპორტის მუშაკებმა, მწვრთნელებმა თავიანთი ძალა და გავლენა ბავშვების საკეთილდღეოდ უნდა გამოიყენონ, დაინტერესდნენ მათი აკადემიური წარმატებით, ყოფაქცევით, ოჯახური პირობებით.

გვახსოვდეს, რომ მოზარდი თაობის აღზრდა დიდი ეროვნული, საზოგადოებრივი და სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა.

**ეთერ ჟვანია,**

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-11 მიკრორაიონის პედაგოგი-ორგანიზატორი.

# ერთი გუნდით ფონს ვერ გავალთ

მოტობურთი სპორტის ტექნიკურ სახეობათა შორის ერთ-ერთი რთული და საინტერესოა. თამაში სპორტსმენთაგან დიდ ხელოვნებას, ფიზიკურ ძალას, რეაქციას მოითხოვს.

საქართველოში მოტობურთს ბევრი გულშემატკივარი ჰყავს, რაშიც კიდევ ერთხელ ამას წინათ თბილისში საბჭოთა კავშირის პირველობაზე ჩატარებული მატჩების დროს დავრწმუნდით: თემქ-ის დასახლების სტადიონზე მუდამ უამრავი მაყურებელი მოდიოდა.

საქართველოს ნაკრებმა — „ივერიამ" (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ნ. შონია) წლეულს 8 ზონალური მატჩი გამართა ვოლგოგრადის, ელისტის, მახაჩყალისა და ერევნის გუნდებთან, ოთხი შეხვედრა მოიგო და ერთი ფრედ დაამთავრა. ზონაში გუნდი III ადგილზე გავიდა ელისტისა და ვოლგოგრადის კოლექტივების შემდეგ.

ეჭვი არ არის, „ივერიას" აქვს შესაძლებლობა, რომ საბჭოთა კავშირის ძლიერი გუნდების მწყობრში ჩადგეს. საამისოდ მარტო ერთი კოლექტივით ფონს ვერ გავალთ. საჭიროა სხვა რაიონებში და ქალაქებშიც შევქმნათ, სულ ცოტა, ათი გუნდი, რომლებიც ნაკრებს სპორტსმენებს მოუმზადებენ. საამისოდ სათანადო ტექნიკა და პირობები აქვთ ფოთის, ქუთაისის, ახალციხის, თელავის, სოხუმის, რუსთავის, გარდაბნის, ბოლნისის, ბათუმის დოსააფის ორგანიზაციებს.

ამას გარდა, თბილისში შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ კიდევ ორი გუნდი. ერთი პროფკავშირებისა და დოსააფის ბავშვთა სპორტულ სკოლასთან (ხელმძღვანელი ი. საგინაშვილი), მეორე — თბილისის № 1 ავტოსარემონტო ქარხნის ბაზაზე.

საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტი ზემოჩამოთვლილი ქალაქებისა და რაიონების სპორტულ ორგანიზაციებს ყოველგვარ დახმარებას გაუწევს.

აგვისტო-სექტემბერში თბილისში ჩატარდება სამდღიანი სემინარი მწვრთნელთა მოსამზადებლად. რაიონებში, მათი მოთხოვნის შესაბამისად, გაემგზავრებიან სპეციალისტები, რათა ადგილებზე მოაწყონ წვრთნა და შეჯიბრებები.

რესპუბლიკაში მოტობურთის განვითარების საკითხი დროულად გადასაწყვეტია კიდევ ერთი მიზეზით: განზრახულია სპარტაკიადა სპორტის ტექნიკურ სახეობებში, რომელიც 1973-1974 წლებში იყო დაგეგმილი, ერთი წლით გადასწიონ, როგორც საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის შემადგენელი ნაწილი. მაშასადამე, ამთავითვე უნდა ვიზრუნოთ სპორტის ყველა ტექნიკური სახეობის განვითარებისთვის. პირველ ყოვლისა კი ნაკლოვანებები უნდა გამოვასწოროთ.

**გ. შვანგირაძე,**

დოსააფის საქართველოს ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

# სპორტული ცხინვალი

რაიონის „ოქროს თავთავის" თასის გათამაშების ფინალში ერედვის საბჭოთა მეურნეობის ფეხბურთელთა გუნდმა ანგარიშით 6:2 დაამარცხა დმენისის კოლმეურნეობის ნაკრები და თასიც დაისაკუთრა.

• • •

ქალაქის სკოლების მოსწავლეთა თასის გათამაშებაში ფეხბურთელთა 12 კოლექტივი მონაწილეობდა. შეჯიბრება ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავს მიეძღვნა. მე-7 საშუალო სკოლის ნაკრებმა მე-2 საშუალო სკოლის გუნდს გადამწყვეტი მატჩი მოუგო ანგარიშით 2:1.

• • •

მეხანძრე სპორტსმენთა ზონალურ შეჯიბრებაში ცხინვალის, გორის, ბორჯომის, ხაშურის, კასპის, ახალქალაქისა და ახალციხის პროფესიული სახანძრო ნაწილების კოლექტივები მონაწილეობდნენ. I ადგილი დაიკავეს მასპინძლებმა. II ადგილზეა გორის გუნდი, III — ახალციხისა.

• • •

ჩატარდა სამხრეთ ოსეთის ზონალური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. სარბიელზე 34 სპორტსმენი გამოვიდა. I ადგილები დაიკავეს ნ. ვარდუაშვილმა, თ. ტურიევმა, ხ. ბოლათაევმა (სამივე — ცხინვალის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი), ტ. გიგილაშვილმა (ზნაური), ა. კაძილოვმა, ვ. ჯაბაურმა, ძმებმა ლ. და ს. ჩიგოევებმა (ოთხივე — ლენინგორი).

**ვ. მელქოევი.**

(ჩვენი კორ.).

# მეთოდურ სემინარზე

ამას წინათ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების სამმართველომ „დინამოს" რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად თელავში ჩაატარა ოთხდღიანი ზონალური მეთოდური სემინარი ფიზიკური მომზადების ინსპექტორებისა და საზოგადოებრივი ინსტრუქტორებისთვის.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს ლექციები: „ფიზკულტურა და სპორტი სსრ კავშირში", „ახალი კომპლექსის ნორმატივები, მოთხოვნები, ჩაბარების ორგანიზაცია".

დასასრულ მოეწყო პრაქტიკული მეცადინეობები და ჩათვლების მიღება.

(ჩვენი კორ.).

თელავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საუკეთესო კალათბურთელები

1971 წლის სეზონის მიხედვით

ქალები

ცენტრალური თავდამსხმელები

| | | |
|---|---|---|
| 1. ა. რუსკინა | 1941 წ. | 190 სმ სპი |
| 2. ც. ჯანელიძე | 1939 წ. | 181 სმ სპი |
| 3. ნ. სტრუჟკინა | 1951 წ. | 187 სმ სპი |
| 4. ნ. ჩხიკვიშვილი | 1949 წ. | 184 სმ სპი |

თავდამსხმელები

| | | |
|---|---|---|
| 1. მ. სურგულაძე | 1944 წ. | 180 სმ სპი |
| 2. ვ. მჭედლიძე | 1947 წ. | 180 სმ სპი |
| 3. ლ. კოროვკინა | 1950 წ. | 172 სმ სპი |
| 4. ქ. ლოლაძე | 1951 წ. | 177 სმ უნივერსიტეტი |

მცველები

| | | |
|---|---|---|
| 1. ჟ. არუთინოვა | 1946 წ. | 168 სმ სპი |
| 2. ნ. გამყრელიძე | 1945 წ. | 168 სმ სპი |
| 3. ც. ყიფიანი | 1950 წ. | 168 სმ სპი |
| 4. ა. მაკარიანი | 1952 წ. | 168 სმ სპი |

ვაჟები

ცენტრალური თავდამსხმელები

| | | |
|---|---|---|
| 1. ა. სხიერელი | 1941 წ. | 200 სმ „დინამო" |
| 2. ბ. ბოლქვაძე | 1944 წ. | 205 სმ „დინამო" |
| 3. ს. მალალაშვილი | 1938 წ. | 205 სმ „დინამო" |
| 4. ი. ძიძიგური | 1952 წ. | 202 სმ სპი |
| 5. ა. ვასიუტინსკი | 1949 წ. | 206 სმ „დინამო" |

თავდამსხმელები

| | | |
|---|---|---|
| 1. მ. ქორქია | 1948 წ. | 196 სმ „დინამო" |
| 2. ვ. უგრეხელიძე | 1939 წ. | 192 სმ „დინამო" |
| 3. გ. ბიჭიაშვილი | 1947 წ. | 200 სმ სპი |
| 4. ი. პულავსკი | 1947 წ. | 198 სმ სპი |
| 5. ლ. მოსეშვილი | 1940 წ. | 196 სმ „დინამო" |
| 6. ბ. ჯუღელი | 1941 წ. | 192 სმ სპი |
| 7. ვ. ქუთათელაძე | 1949 წ. | 195 სმ „დინამო" |
| 8. დ. მალალთაძე | 1951 წ. | 196 სმ „დინამო" |
| 9. ნ. ფირცხალაიშვილი | 1949 წ. | 194 სმ სპი |
| 10. ი. ნარიმანიძე | 1953 წ. | 198 სმ „დინამო" |

მცველები

| | | |
|---|---|---|
| 1. ზ. საკანდელიძე | 1945 წ. | 187 სმ „დინამო" |
| 2. ა. გლურჯიძე | 1940 წ. | 182 სმ სპი |
| 3. ვ. ალთაბაევი | 1940 წ. | 196 სმ სპი |
| 4. ლ. ჩხიკვაძე | 1948 წ. | 188 სმ სპი |
| 5. თ. ჩიხლაძე | 1949 წ. | 186 სმ „დინამო" |
| 6. თ. ფიცხელაური | 1950 წ. | 183 სმ „დინამო" |
| 7. ე. მაისურაძე | 1947 წ. | 191 სმ სპი |
| 8. ნ. ჭეიშვილი | 1952 წ. | 185 სმ „დინამო" |
| 9. ს. იუხნელი | 1947 წ. | 183 სმ „დინამო" |
| 10. შ. იაქაშვილი | 1951 წ. | 185 სმ „დინამო" |

ერთ წელიწადს „შესვენების" შემდეგ საქართველოს სსრ კალათბურთის ფედერაცია მეოთხედ აქვეყნებს რესპუბლიკის უძლიერეს მოთამაშეთა სიას, რომელიც შედგენილია სპორტსმენთა მიერ 1971 წელს მოპოვებული შედეგების მიხედვით. უძლიერეს მოთამაშეთა წინა სიასთან შედარებით, რომელიც 1969 წლის შედეგების მიხედვით იყო შედგენილი, წინამდებარე არსებითად განსხვავებულია.

ამჟერად უძლიერეს კალათბურთელთა შორის ვხვდებით 11 ახალ გვარს, რომლებიც პირველადაა შეტანილი სიაში. ქალებიდან ესენი არიან: ლოლაძე, ყიფიანი, მაკარიანი; ვაჟებიდან — ქუთათელაძე, მალალთაძე, ფირცხალაიშვილი, ი. ნარიმანიძე, ჭეიშვილი, მაისურაძე, ვასიუტინსკი და იაქაშვილი.

ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ ყველა სიაში შეტანილი იყვნენ შემდეგი მოთამაშეები: ქალებიდან — ჯანელიძე, სურგულაძე, რუსკინა, მჭედლიძე და არუთინოვა; ვაჟებიდან — სხიერელი, ბოლქვაძე, მოსეშვილი, უგრეხელიძე, მალალაშვილი, საკანდელიძე, ბიჭიაშვილი, ჯუღელი, გლურჯიძე, ალთაბაევი, ჩხიკვაძე და ჩიხლაძე.

რამდენადმე შეიცვალა ჩვენი უძლიერესი კალათბურთელების სიმაღლისა და ასაკის საშუალო მაჩვენებლები. მაგალითად, შარშან ასაკის საშუალო მაჩვენებელი 1969 წელთან შედარებით ქალებში დაეცა 24,8 წლიდან 23,9 წლამდე, ვაჟებში კი 25,9 წლიდან 24,8 წლამდე. ჩვენი წამყვანი გუნდები საგრძნობლად „გაახალგაზრდავდნენ" და ეს განსაკუთრებით სასიხარულოა.

უფრო ცუდად გვაქვს საქმე სიმაღლის მაჩვენებლებში. ქალებში საშუალო მაჩვენებელი 177,2 სმ-დან 177 სმ-მდე დაეცა. მართალია, სხვაობა არც ისე დიდია, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ წამყვან მოთამაშეთა სიმაღლე ჩვენთვის მუდამ მტკივნეული საკითხი იყო.

სამაგიეროდ, ვაჟებში ეს მაჩვენებელი 192,3 სმ-დან 193,6 სმ-მდე გაიზარდა.

კიდევ უფრო საინტერესო სურათს იძლევა მოთამაშეთა ასაკისა და სიმაღლის გაანგარიშებული კალათბურთელთა შეფარდება, ფუნქციების მიხედვით.

ქალები

| | | ცენტრი | თავდასხმა | დაცვა |
|---|---|---|---|---|
| საშუალო ასაკი | 1969 წ. | 24 წელი | 22,5 | 28 |
| | 1971 წ. | 26 | 23 | 22,8 |
| საშუალო სიმაღლე | 1969 წ. | 185,5 სმ | 177 | 169 |
| | 1971 წ. | 185,5 | 177,2 | 168 |

ამგვარად, ცენტრალური თავდამსხმელი და თავდამსხმელი ქალები სიმაღლეში „გაიზარდნენ", მცველები კი „გაახალგაზრდავდნენ". სიმაღლის მაჩვენებელი ცენტრალურ მოთამაშეებში არ შეცვლილა, თავდამსხმელებში კი 0,2 სმ-ით ამაღლდა. მცველებში ეს მაჩვენებელი 1 სმ-ით დაეცა, თუმცა ისედაც დაბალი იყო. სიმაღლის მაჩვენებლების ზრდა საკმაოდ რთული პროცესია და უნდა მივაღწიოთ, რომ ცენტრალურ თავდამსხმელებში იგი 188 სმ-მდე მაინც ამაღლდეს, თავდამსხმელებში — 180, მცველებში კი 170 სმ-მდე.

ვაჟთა შორის ცოტა განსხვავებული სურათია.

| | | ცენტრი | თავდასხმა | დაცვა |
|---|---|---|---|---|
| საშუალო ასაკი | 1969 წ. | 27,8 წელი | 25,7 | 24,1 |
| | 1971 წ. | 26,2 | 24,7 | 24,2 |
| საშუალო სიმაღლე | 1969 წ. | 203,4 სმ | 193,5 სმ | 185,5 სმ |
| | 1971 წ. | 203,6 | 195,7 | 186,6 |



როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, ვაჟებში საშუალო ასაკის მაჩვენებელი ერთის გარდა ყველა შემთხვევაში დაეცა, ხოლო საშუალო სიმაღლე ყველა სპეციალობის მოთამაშეებში გაიზარდა. მაგრამ ეს დონე ჯერჯერობით მაინც ვერ დაგვაკმაყოფილებს.

მაჩვენებლების გაუმჯობესება შემთხვევითი როდია. ეს დადებითი ძვრები მიღწეულია იმ დიდი მუშაობის შედეგად, რაც გასწია რესპუბლიკის ბევრმა ორგანიზაციამ და პასუხისმგებელმა მუშაკმა — რესპუბლიკის სპორტკომიტეტით და კალათბურთის ფედერაციით დაწყებული, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების მწვრთნელებით დამთავრებული.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ყველაფერი ჯერ მხოლოდ დასაწყისია. ჯერჯერობით ყველა სათანადო სერიოზულობით როდი ევიდება კონტინგენტის შერჩევას, ნიჭიერ კალათბურთელთა ძებნას.

ამ საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი უნდა შეასრულოს სპორტული თამაშების უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის კალათბურთის განყოფილებამ, რომელიც ახლახან ჩამოყალიბდა.

დასასრულს სინანულით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ წერილში განხილული საკითხის მომზადებას ძალიან გულგრილად მოეკიდა კალათბურთის ბევრი სპეციალისტი, რომელთაც ჩვენ დახმარებისთვის მივმართეთ.

**ა. წერეთელი,**
კალათბურთის რესპუბლიკური ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

სპორტსმენები წესრიგის სადარაჯოზე

# უბნის ინსპექტორი

მოგონებადღა დარჩა ფიზკულტურის ტექნიკუმისა და ინსტიტუტის კედლებში გატარებული წლები, მეგობრების ალტაცება და მილოცვები, სპორტის ოსტატის წოდების მიღების დაუვიწყარი წუთები. ქალაქიდან ქალაქში, რესპუბლიკიდან რესპუბლიკაში „ხეტიალი", სხვადასხვა სტილისა და ძალის მოჭიდავეებთან შერკინება, გამარჯვებით გამოწვეული სიხარული. ცხრა წელიწადი გაატარა ხალიჩაზე რაჟდენ მამაცაშვილმა და სამბოსა და ქართულ ჭიდაობაში საქართველოს შვიდგზის ჩემპიონობას საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა ორგანოების ჩემპიონის ტიტულიც მიუმატა.

— ძნელია სარბიელის დატოვება, — ამბობს რაჟდენი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ქრისტეფორე ნინიაშვილის აღზრდილი სპორტსმენი. — ძნელია, მაგრამ ურიგდები ამას, რაკი იცი, რომ მარტო შენი ხვედრი როდია ასეთი.

დრო თავისას მოითხოვს.

დრომ თავისი მოსთხოვა რაჟდენ მამაცაშვილსაც და, როცა საქმე არჩევანზე მიდგა, კარგი ათლეტი უყოყმანოდ ჩადგა სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთა რიგებში. შრომით, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით მან მალე დაიმსახურა თბილისის შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკთა პატივისცემა და სიყვარული.

რამდენი ბოროტმოქმედი მოუშორებია საზოგადოებისთვის ამჟამად შინაგან საქმეთა ოქტომბრის რაიგანყოფილების უბნის ინსპექტორს, მილიციის უფროს ლეიტენანტ მამაცაშვილს. მან უბანი ფიქრობნებად დაჰყო, რომელშიაც შტატგარეშე თანამშრომლები ემსახურებიან, ჩამოაყალიბა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საბჭო, რომელშიც დეპუტატები, ინჟინრები, პედაგოგები, სპორტსმენები, შრომის ვეტერანები გაერთიანდნენ. საბჭო სხდომებზე განიხილავს და შესაბამის ღონისძიებებსაც სახავს მეზობლური ურთიერთობის მოსაგვარებლად, ანტისანიტარიის, არასრულწლოვანთა დამნაშავეობის, ლოთობის, მუქთახორობის წინააღმდეგ.

უბნის ინსპექტორმა აქტივზე დაყრდნობით მიაღწია იმას, რომ შარშან უბანში თვალსაჩინოდ შეამცირა სისხლის სამართლის დანაშაულთა რიცხვი.

გთავაზობთ რამდენიმე მაგალითს მამაცაშვილის „ახალი" ცხოვრებიდან.

ეს ამბავი დღისით-მზისით მოხდა. თბილისის ცენტრალურ უნივერმაღში ახალგაზრდა კაცი შევიდა. იგი გულდასმით ათვალიერებდა ვიტრინებში და დახლზე გამოფენილ საქონელს. განსაკუთრებით მოიხიბლა ქართული ჭედურობით, ხისგან და თიხისგან ნაკეთები ეროვნული დოქებითა და სასმისებით.

— მშვენიერია! — ამბობდა და თითოეულ ნივთს ხელში დიდხანს ატრიალებდა.

უცნობმა სამახსოვროდ რამდენიმე ცალი ჰინჰილა იყიდა, ქაღალდში გაახვია და მზა ტანსაცმლის სექციისკენ გასწია. აქაც თითქოს ალტაცებას ვერ ფარავდა, მაგრამ ხუთიოდე წუთში ახალგაზრდა კაცი სადღაც გაუჩინარდა. კიდევ წუთი და ნოქარმა თავში ხელი შემოიკრა:

— პალტო მომპარეს! — წამოიძახა მან და გასასვლელს ეცა, მაგრამ უცნობი არსად ჩანდა.

მომხდარი შემთხვევა შეიტყო მამაცაშვილმაც, რომელიც ზეპირი აღწერილობის შემდეგ ცხელ კვალზე მიჰყვა ბოროტმოქმედს და დანაშაულის ჩადენიდან ორი საათის შემდეგ, თბილისი — მოსკოვის მატარებლის ვაგონში დააკავა. იაროსლაველი ი. მაკეევი, რომელიც პატიმრობიდან განთავისუფლებისთანავე სხვადასხვა ქალაქში „საგასტროლო" მოგზაურობას შეუდგა, მოპარულ პალტოში იყო გამოწყობილი.

შარშან რაჟდენის უბანს ვიღაც როზა შეეჩვია. სასპეკულაციო საქონლით ესტუმრებოდა ოქტომბრის რაიონს და, როგორც კი საქმეს მოათავებდა, გაუჩინარდებოდა. უბნის ინსპექტორს გაქნილი ქორვაჭარი რამდენიმეჯერ დაუსხლტა, მაგრამ მერე მაინც გაება მახეში. მამაცაშვილმა დააკავა რ. თეიმურაზიანი, რომელსაც ბინაში 8 ათასი მანეთის სასპეკულაციო სამრეწველო საქონელი და არაკეთილსინდისიერი გზით მოხვეჭილი დიდძალი ფული აღმოაჩნდა.

მამაცაშვილის გამჭრიახობის შედეგად არაერთი ხულიგნის, პარაზიტული ცხოვრების მოყვარულის, ლოთისა და მფლანგველის ფეხი ამოიკვეთა უბნიდან.

ინსპექტორი დიდ ყურადღებას აქცევს შრომა-გასწორების კოლონიიდან დაბრუნებულებს. მამაცაშვილმა ყოველდღიური აღმზრდელობითი მუშაობის შედეგად მიაღწია, რომ მათი უმეტესობა სასარგებლო შრომაში ჩაება, წესიერი ცხოვრების გზას დაადგა.

მამაცთასამხრეებიანი კაცის ცხოვრება მოულოდნელობითა და ხიფათითაა აღსავსე. ამ სიძნელეების დაძლევა მხოლოდ შეუდრეკელი ნებისყოფის, მტკიცე ხასიათისა და საქმისთვის თავდადებულ ადამიანებს შეუძლიათ.

ასეთი კაცია მამაცთასამხრეებიანი რაჟდენ მამაცაშვილიც.

**გ. გვაძაბია.**

• • •



სურათზე: რ. მამაცაშვილი.

## ✦ თბილისი

სსრ კავშირის დაარსების 50 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს მოჭიდრაკეებმა თავიანთი პირველობა გამართეს. ტურნირში 14 კაცი მონაწილეობდა. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ტექნიკური განყოფილების უფროსმა ინჟინერმა რ. ნატროშვილმა. II ადგილზეა პურპურაქის მომარაგების სამმართველოს უფროსი გ. წიკლაური, III — მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებით დაგეგმარების განყოფილების უფროსი გ. თათუნაშვილი.

**გ. დარბაიძე,**
პირველობის მსაჯი, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს სახელმწიფო ინსპექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის თასზე — „იზვესტიის" პრიზზე





# თავი აარიდეს

მძლეოსნობაში გაზეთ „იზვესტიას" პრიზის წლევანდელ საკავშირო გათამაშებაში მონაწილე ქალაქების ნაკრები გუნდები 25 ზონად დაიყვნენ. ერთ ასეთ ზონას გასულ შაბათ-კვირას თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონი მასპინძლობდა. საასპარეზოდ თავი მოიყარეს თბილისის, ქუთაისის, სოხუმისა და ბათუმის კოლექტივებმა. შეჯიბრება საქართველოს პირადი ჩემპიონატიც იყო. ამიტომ სარბენ ბილიკებზე და სექტორებში რესპუბლიკაში საუკეთესო ათლეტის სახელის სხვა მაძიებლებიც გამოვიდნენ.

ზონებში გამარჯვებული კოლექტივები მოგვიანებით გაითამაშებენ მეოთხედფინალს, შემდეგ ეტაპზე ასპარეზობა ზონებში II ადგილებზე გასულ იმ ნაკრებ გუნდებსაც შეუძლიათ, რომლებიც საკმაო რაოდენობით მოაგროვებენ ქულებს.

წლევანდელი მერვედფინალური ტურნირები საკავშირო უნივერსიადას დაემთხვა და თბილისის სტარტებში რესპუბლიკის ბევრი ძლიერი მძლეოსანი ვერ ვიხილეთ, მაგრამ დასამალი არც ის არას, რომ თბილისის გუნდში გაურკვეველი მიზეზების გამო არ გამოვიდა ბევრი სპორტსმენი, რომელთაც ამის საშუალება ჰქონდათ. მართალია, ზოგი მათგანი ახლახან მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში წარმატებით ასპარეზობდა, მაგრამ კიევიდან შინ დაბრუნებულებს ამ დიდ შეჯიბრებაშიც უნდა ეცადათ ძალა, ყოველ შემთხვევაში, დედაქალაქის ნაკრების ღირსების დაცვა არ უნდა დაზარებოდათ.

თბილისის ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის მთავარმა მწვრთნელმა მძლეოსნობაში, სპორტის ოსტატმა ზ. ჯარაშნელმა სინანული გამოთქვა, რომ დ. მელაძე, ნ. ორფანოვი, ბ. ვეზაგურიძე, ნ. ლაბაძე, ც. ლიპარტელიანი, ლ. დენისოვა და სხვები საასპარეზოდ არ გამოცხადდნენ.

ყოველივე ამან გამოიწვია, რომ ზოგიერთ სახეობაში (ქალები: 800 და 1500 მეტრზე რბენა, 100 მეტრზე თარჯრბენი, სიმაღლეზე ხტომა, ბირთვის კვრა) საქართველოს ჩემპიონობისთვის ორი-სამი სპორტსმენი იბრძოდა. ვაჟებში ამ მხრივ 400 მეტრზე რბენა, სამხტომი, ბირთვის კვრა „გამოირჩეოდა", უროს ტყორცნაში კი სარბიელზე მარტო თბილისელი ი. ბარსლივა გამოვიდა და სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივით (61,80 მ) გაიმარჯვა. ეჭვი არ არის, ბარსლივას მეტოქეები რომ ჰყოლოდა, მისი პირადი რეკორდი უფრო მაღალი იქნებოდა.

შედეგებიც უმეტესად უხეირო იყო. მხოლოდ რამდენიმე სახეობის წარმომადგენლებს ვერ ვუსაყვედურებთ. მაგალითად, ვაჟთა შორის სიმაღლეზე ხტომაში გამარჯვებულმა, ახალგაზრდა თბილისელმა ბ. პრესნოვმა 206 სმ გადალახა, ქალებში კი ყველას პრესნოვის თანაგუნდელმა, მოსწავლე მ. კიკნაველიძემ აჯობა — 160 სმ. სპორტის ოსტატის ერთადერთი შედეგი ისევ ბადროს მტყორცნელმა გ. გუდაშვილმა (თბილისი) აჩვენა — 56,07.

„იზვესტიის" პრიზის გათამაშებაში მებრძოლ კოლექტივებს ყოველ სახეობაში თითო სპორტსმენის გამოყვანა შეეძლოთ, ამიტომაც რესპუბლიკის ზოგიერთმა ჩემპიონმა გუნდს მოგებულ სახეობაში ქულები ვერ მოუპოვა, ვინაიდან განაცხადით სხვა სახეობაში უნდა გამოსულიყო. მაგალითად, ქალთა შორის 100 მეტრზე რბენაში თბილისელი გ. ქუთათელაძე რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა (12,4), გუნდისთვის I ადგილი (5 ქულა) კი მ. გელაშვილს (12,7) ხვდა წილად. სამაგიეროდ, ქუთათელაძე კოლექტივს 200 მეტრზე რბენაში გამოადგა (25,9) — პირველობა აქაც მოიპოვა.

ამ ტურნირმა საქართველოს მძლეოსანთა სადღეისო სახე ვერ დაგვანახვა: გუნდების ხელმძღვანელებმა სრული კოლექტივების გამოყვანა ვერ შეძლეს. ძალიან სუსტი იყო სოხუმის ნაკრები, რომელსაც როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შეჯიბრებაში ბოლო ადგილები დარჩა. ამ ქალაქის ერთ დროს კარგმა ნაკრებმა პოზიციები დათმო. სოხუმელმა ქალებმა მხოლოდ ერთი სახეობა მოიგეს, ერთი II, სამი III ადგილი დაიკავეს და 12 ქულას დასჯერდნენ. ეს მაშინ, როცა თბილისის შესუსტებულმა გუნდმა 46 ქულით გაიმარჯვა. II ადგილზე გასულმა ბათუმელებმა 29, ხოლო მესამე პრიზიორებმა — ქუთაისელებმა 25 ქულა მოაგროვეს.

უფრო ჩამორჩნენ სოხუმელი ვაჟები. პირველ დღეს მათ 10 ქულა მაინც მიიღეს (თბილისმა — 47), მეორე დღეს კი მხოლოდ ქულას დასჯერდნენ. საბოლოოდ I ადგილი თბილისის ვაჟთა გუნდს ერგო — 100 ქულა. II ადგილზეა ბათუმი (51 ქულა), III — ქუთაისი (44).

ამრიგად, „იზვესტიის" პრიზის გათამაშების შემდგომ ეტაპზე ასპარეზობის უფლება თბილისის ვაჟთა და ქალთა გუნდებმა მოიპოვეს.

**თ. ივდოშვილი.**

გაგაცნობთ რესპუბლიკის პირადი პირველობის სხვა გამარჯვებულებს:

**ქალები. რბენა. 400 მ.** ვ. გოლობოროდკო (ბათუმი) — 58,8, **800 მ.** ლ. მაკაროვა (ქუთაისი) — 2.22,8, **1500 მ.** ჟ. ზანთარია (სოხუმი) — 5.31,6. **100 მეტრზე თარჯრბენი.** ლ. იევლევა (თბილისი) — 14,6. **ესტაფეტა. 4×100 მ.** თბილისი (იევლევა, გელაშვილი, ქუთათელაძე, ნ. ლომიძე) — 50,2, **4×400 მ.** თბილისი (ლ. კორკოტაძე, ლ. ჭარბაძე, ი. ლიგა, ტ. ოსიპოვა) — 4.02,4. **სიგრძეზე ხტომა.** გელაშვილი — 550. **ბადროს ტყორცნა.** ც. ჯაფარიძე (თბილისი) — 47,42. **შუბის ტყორცნა.** ტ. შტუკატუროვა (ბათუმი) — 41,48. **ბირთვის კვრა.** მ. თათარაშვილი (ქუთაისი) — 11,34.

**ვაჟები. რბენა. 100 და 200 მ.** ა. ვიუნოვი — 10,9 და 22,6, **400 მ.** შ. ჯაბიშვილი — 50,9, **800 და 1500 მ.** ვ. მაირომიანი (ყვლარა — თბილისი) — 1.58,0 და 4.00,0, **5000 მ.** ვ. ნესტერენკო (რუსთავი) — 14.34,4, **10000 მ.** გ. ბარკანსი — 35.12,6. **3000 მ წინაღობებით.** გ. ხუფაცარია (ორივე — თბილისი)—9.45,4. **ესტაფეტა. 4×100 მ.** თბილისი (ა. ივანოვი, ვიუნოვი, გ. სოროკინი, მ. თათევოსიანი) — 43,0, **4×400 მ.** თბილისი (ჯაბიშვილი, შ. მოშიაშვილი, ტ. ბახტაძე, ა. ანდრეევი) — 3.25,5. **თარჯრბენი. 110 მ.** ზ. ალხანაიძე — 15,5, **400 მ.** შ. მოშიაშვილი — 56,2. **სიგრძეზე ხტომა.** ალხანაიძე — 703. **ჭოკით ხტომა.** თათევოსიანი — 465. **სამხტომი.** ვ. ჩუკანოვი (ყვლა — თბილისი) — 14,88. **შუბის ტყორცნა.** ტ. ზასეევი (სამხრეთ ოსეთი) — 65,50. **ბირთვის კვრა.** მ. ოყროშიძე — 17,25. **20 კმ-ზე სპორტული სიარული.** ი. დელაროსა (ორივე — თბილისი) — 1:34.25,2.

• • •

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** ვაჟები 100 მეტრზე რბენის ფინიშთან; ბ. პრესნოვი ასპარეზობის დროს.

ო. გელაშვილის ფოტოები.

## ფიფა-ს ცხარე დღეები ელის

**ურუგვაის** ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა: ფიფა-ს მომავალ კონგრესზე, რომელიც 23 აგვისტოს გაიმართება პარიზში, წინადადებას შეიტანს, რომ დიდი ბრიტანეთი მხოლოდ ერთი ნაკრები გუნდით გამოვიდეს მომავალ საფეხბურთო ასპარეზობებში ნაცვლად 4 გუნდისა (ინგლისი, შოტლანდია, უელსი, ჩრდილოეთ ირლანდია). ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციის აზრით, კონგრესმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ეს მოხდეს უკვე მომავალ, 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატში. უკვე რამდენიმე კვირაა ევროპისა და სამხრეთ აფრიკის საფეხბურთო წრეებში დაიწყო ბჭობა ამ საკითხზე. სპორტული პრესა იუწყება, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციებმა არაოფიციალური მხარდაჭერა აღუთქვეს ურუგვაელებს და კონგრესზე ხმას მისცემენ ამ წინადადებას.

საკუთრივ დიდი ბრიტანეთის სპორტულ პრესაში სხვადასხვა აზრი გამოითქვა. ზოგიერთის აზრით, ერთიანი გუნდის გამოყვანა უკეთესი იქნება, ვინაიდან დიდი ბრიტანეთის ნაკრების შექმნა ფეხბურთის კლასს ევროპაში კიდევ უფრო აამაღლებს. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიმომხილველთა და ოფიციალურ პირთა უმრავლესობამ დიდ ბრიტანეთში ურუგვაელთა ნაბიჯს არასწორი და უსამართლო უწოდა. განსაკუთრებით აღშფოთებული არიან შოტლანდიის საფეხბურთო წრეები, რომლებიც ენერგიულ ბრძოლას შეუდგნენ ურუგვაელთა წინადადების წინააღმდეგ. შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციის მდივანი ვ. ალენი ამ დღეებში ჩაფრინდა მერუში, სადაც შეიკრიბნენ სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციების წარმომადგენლები. იგი სამხრეთამერიკელთა დაშოშმინებას აპირებს, მაგრამ მოსალოდნელია, რომ ფიფა-ს მომავალ კონგრესზე ამ საკითხის ირგვლივ ცხარე ბრძოლა გაჩაღდეს დიდი ბრიტანეთისა და ლათინური ამერიკის წარმომადგენელთა შორის.

(საქ. ინფ.).

## მ ო კ ლ ე დ

● **მადრიდი.** ესპანეთის ჩემპიონატის I ლიგაში შემოდგომიდან 3 დებიუტანტი იქნება: „სდ კასტელონი", „ფკ ოვიედო" და „რეალი" (სარაგოსა).

● **ჰონკონგი.** საერთაშორისო მატჩი „სანტოსსა" და „ნიუკასლ იუნაიტედს" (ინგლისი) შორის დასრულდა ბრაზილიელთა გამარჯვებით — 4:2. 3 ბურთი გაიტანა პელემ.

● **კერკრადე** (ჰოლანდია). მალაიზიის ოლიმპიური ნაკრები, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს მიუნჰენის თამაშებში, ევროპაში საგასტროლო მატჩებს მართავს. აქ მან წააგო ჰოლანდიის II ლიგის გუნდ „როდასთან" — 1:3.




## 23 აგვისტოს პარიზში...

**ამ დღეს** ფიფა-ს კონგრესმა უნდა განიხილოს მეტად მნიშვნელოვანი წინადადება მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა რიცხვის 16-დან 24-მდე გაზრდის შესახებ. ეს არ ეხება 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატს დასავლეთ გერმანიაში, მაგრამ შეიძლება შეეხოს 1978 წლის პირველობას არგენტინაში. თვით არგენტინის ფედერაცია მხურვალედ უჭერს მხარს ამ წინადადებას. როგორც ზოგიერთ მიმომხილველს მიაჩნია, მსოფლიო პირველობის ფინალისტთა რაოდენობის გაზრდა ფრიად გონივრულია და, ეტყობა, დამტკიცდება კიდეც კონგრესზე.

### მხოლოდ ოთხი კლუბი

**იტალიის** უმაღლესი საფეხბურთო ლიგა 1929 წელს შეიქმნა. აქედან მოყოლებული მხოლოდ ოთხი გუნდი ინარჩუნებს ადგილს ამ ლიგაში: „იუვენტუსი", „ინტერი", „ფკ მილანი" და „აკ ბოლონია". მათგან საუკეთესო მაჩვენებლები „ზებერ ქალბატონად" წოდებულ „იუვენტუს" აქვს: პირველობებში ჩატარებული 1356 მატჩიდან მან 696 მოიგო, 371 ფრედ დაამთავრა და 289 წააგო.

## ბუდაპეშტში გამგზავრების წინ

**ტალინი, 1 აგვისტო.** საბჭოთა კავშირის უძლიერეს ჩოგბურთელთა ტურნირის ფინალური მატჩი თითქმის ორსაათნახევარს გაგრძელდა — ერთმანეთს ებრძოდნენ გამოცდილი მოსკოველი სპორტსმენი ვ. კოროტკოვი და მისი თანაქალაქელი — ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული, 24 წლის შ. ტარპიშჩევი. გაიმარჯვა ტარპიშჩევმა, რომელმაც პირველად მოიგო ასეთი დიდი ტურნირი. აქამდე მისი საუკეთესო შედეგი იყო III ადგილი ტაშკენტის შარშანწინდელ ამგვარ შეჯიბრებაში.

— ტალინის ტურნირი, — თქვა საბჭოთა ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ს. ანდრეევმა, — ბოლო რეპეტიცია გახლდათ ევროპის ჩემპიონატის წინ, რომელიც ბუდაპეშტში გაიმართება. — ესტონეთის დედაქალაქის სარბიელზე საბჭოთა კავშირის ყველა უძლიერესი ჩოგბურთელი გამოვიდა, კაკულიასა და მეტრეველის გარდა. მათთან ერთად ევროპის ჩემპიონატში სათამაშოდ ბუდაპეშტს დევისის თასის გათამაშების კიდევ ორი მონაწილე — ლიხაჩოვი და კოროტკოვი გაემგზავრებიან. ქალთა გუნდში შევლენ ტალინის ტურნირში გამარჯვებული მოროზოვა, მეორე პრიზიორი იანსონე, აგრეთვე, კროშინა და ბირიუკოვა.

... წყვილებში ყველას აჯობეს ო. მოროზოვამ (მოსკოვი) და ზ. იანსონემ (რიგა), ვ. კოროტკოვმა და ს. ლიხაჩოვმა (ბაქო).

## სწორად ამოხსნეს

„ლელოს" 29 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული იყო შ. ადეს (თბილისი) საჭადრაკო ამოცანა, რომელიც მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ ნ. ჯაფარინდაშვილისადმი იყო მიძღვნილი.

ამოცანა სწორად ამოხსნეს: ლ. ხუნწულიამ (წულუკიძე), მ. კურტანიძემ (დაბა ორჯონიკიძე), ი. მაზიაშვილმა, გ. კაჭარავამ (ორივე — თბილისი), თ. ვალიშვილმა, გ. სეხნიაშვილმა (ორივე — გორი), ე. ჭუმბურიძემ (ზედა სიმონეთი, თერჯოლის რაიონი), გ. ნიშნიანიძემ (ახალი თერჯოლა), ა. გოზალიშვილმა (სიღნაღი), ა. თევდორაძემ (ქუთაისი), ი. კანდელაკიშვილმა (ახალი ანაგა, სიღნაღის რაიონი), რ. დარასელიამ (ზუგდიდი), გ. ოგანეზოვმა (ნინიგორი, ლაგოდეხის რაიონი), ნ. ხარაიშვილმა (ლიჩი, საჩხერის რაიონი), ნათელა გიგაშვილმა (ალისუბანი, თერჯოლის რაიონი), რ. ბერიძემ (თიანეთი), ე. მანუკიანმა (აბასთუმანი, ადიგენის რაიონი), თ. კინწურაშვილმა (ცხაკაია) და ა. ოზაშვილმა (თეთრი წყარო).

ამოცანის ამოხსნა: 1. ლg8.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

**რედაქციის მისამართი:** თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008), დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

**ტელეფონები:** რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-31, კორექტორები — 93-97-49.



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

უე 02618